



ბრძოლა — ნათნები — 1931 წლის 10 აპრილი

ლ. ლ.

ნათ. მთაწარი

„კალმის წვერზე“

აღფესი ჭადრაკულაძე დიდი „გაბეჭილი“ ვინმე იყო.

ის განაგებდა ერთ-ერთ ცენტრალურ დაწესებულებას. თანამშრომელთა მიმართ ზედმიწევნით ფორმალისტი, ბიუროკრატი და მიუტარებელი კაცი იყო, რისთვისაც მას ზედმეტ სახელად „უფუჭო“ დაარქვეს.

სამაგიეროდ ჭადრაკულაძეს ყოველთვის დაინახავდით თავმდაბალს და ქედმოხილულს იმათ წინაშე, რომლებიც მასზე მაღლა იდგნენ. ამიტომაც ზოგიერთი „დიდი კაცები“ არ აკლებდნენ მას მოწყალების თავს; ზოგიერთები კი — პირიქით, თავის დამცირებათ თვლიდნენ მასთან საქმის დაჭერას.

— მე თუ ჩემზე მაღლა მდგომთ ფეხქვეშ ვაგები, ქედს ვუხრი და პატივს ვცემ, ინებონ და ავრე მოიქცენ ჩემს მიმართ ჩემზე დაბლა მდგომნი! — ამბობდა თავისთვის ჭადრაკულაძე და თავის სურვილს ანაოდებდა დაბალ თანამშრომლებზე. მან დაითხოვა სამსახურიდან დარაჯი ვანო უპოვარაშვილი, რომელსაც ბრალად სდებდა, თითქოს სისტემატურად არღვევდა შრომის კანონს და სამსახურისადმი დაუდევრობას იჩენდა... ნამდვილად კი უპოვარაშვილი დათხოვნილი იქნა სამსახურიდან მხოლოდ იმისათვის, რომ მან უარი განუცხადა ჭადრაკულაძეს მისი საოჯახო საქმეების შესრულებისათვის. დათხოვნილ უპოვარაშვილის მაგიერ ჭადრაკულაძემ მიიღო სოფლიდან ჩამოყვანილი დარბი გლეხის შვილი, უსწავლელი ახალგაზრდა კოლა ვარგაშვილი, რომელშიაც ის სრული დაიმედებული იყო, რომ მისი „ყურმოჭრილი“ მოსამსახურე იქნებოდა.

— აბა, ბიჭო, კოლა დღეს ბაზარში წახვალ და ხანოვავებს გვიყიდე; დღეს კი თეატრის ბილეთებს გვიშოვი, დღეს ამას გაგიყიდე; დღეს იმას... ავალბენ მას ჭადრაკულაძე და მისი ცოლი. კოლა მათ პირველ ხანებში ყველაფერს უსრულებდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ვარგაშვილმა წერა-კითხვა შეისწავლა; კომკავშირში ჩაეწერა; თავისუფალ დროს წიგნების კითხვას მიჰყო ხელი.

ადგილკომისა და კომკავშირის უჯრედის დავალებებს ის ზედმიწევნით პატიოსნად ასრულებდა. კოლას წერის უნარიც აღმოაჩნდა... ადგილობრივ კედლის გაზეთში ათავსებდა ლექსებს, პატარა წერილებს და შარხებს.

— წახდა საქმე, ვარგაშვილიც არ გამოიბოდა. ეხლავე თუ არ მივიღე ზომები, შემდეგ გვიან იქნება „თითზე კბენანი“ — ამბობდა ჭადრაკულაძე და ვარგაშვილის სამსახურიდან დათხოვნას ამზადებდა.

ვარგაშვილს კედლის გაზეთის რედაქტორობა ჩააბარეს, ის ენერგიულად შეუდგა მორიგი ნომერის გამოშვებას. გაზეთის სახელ-

წოდებაც კი შეუცვალა და „მუშტი“-ის მაგიერ „კალმის წვერზე“ დაარქვა.

მორიგი ნომერი ადმინისტრაციის მუშაობას ეხებოდა, კერძოდ ნიშნავი ამოღებული იყო ჭადრაკულაძე, როგორც იშვიათი ბიუროკრატი, საქმის არ მცოდნე, თავმოყვარე და პირად ცხოვრებაში „მეშინინი“.

მოწინავე წერილში ვარგაშვილი მოითხოვდა ჭადრაკულაძის მუშაობის შესახებ უმაღლეს ორგანოების ყურადღების მიქცევას. გაზეთში მოთავსებული იყო აგრეთვე ჭადრაკულაძის ასეთი შარხი: ჭადრაკულაძე წამოცმული კალმის წვერზე.

სწორედ იმ დღეს როცა კედელზე გაზეთი იქნა გაკრული, ჭადრაკულაძემ ვარგაშვილის სამსახურიდან დათხოვნის ბრძანებას მოაწერა ხელი, რამაც თანამშრომლებში აღშფოთება გამოიწვია. ადგილკომმა ამ საქმის შესახებ აცნობა მუშგლეხის; დაუყოვნებლივ გამოარყვეული იქნა ვარგაშვილის დათხოვნის მიზეზი, რომლის შედეგად მუშგლეხის დადგენილებით ვარგაშვილი სამსახურში დააბრუნეს, ჭადრაკულაძე პასუხისგებაში მიტოვეს.

— „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენითაო“ — ამბობდა თავისთვის ჭადრაკულაძე, როცა საქმეებს აბარებდა ახალ გამგებს.

შუგუარაძე

ლიტერატურული ვენილა

ნან. დონის

2



— რამდენი ტუპკი და უსუფთაობა ყო ფილა!

„კ ლ ა გ ი ა ტ ო რ ი“

ბიკტორა წერტილაძე დიდი ხანია რაც სტამბაში ასოთ-ამწყობათ მუშაობდა. ვინ იცის, რამდენი ავტორების ხელნაწერებს გაუვლია მის ხელში.

ბევრს მათგანს სიამოვნებით აწყობდა ის, მაგრამ უმეტესობა კი არ მოსწონდა და ფიქრობდა, რომ თუ ის, წერტილაძე, მოინდომებდა, - იმათზე ნაკლებს არ დასწერდა, თუ უკეთესს არა.

ბევრჯერ კიდევაც უსინჯავს წერა წერტილაძეს, მარა უნაყოფოდ, რადგან მისი ნაწარმოებები არსად არ მიუღიათ დასაბეჭდათ. ამიტომ ის გაბრაზებული იყო, როგორც ავტორებზე, რომლის ნაწერები ამას არ მოსწონდა, ისევე რედაქტორებზე, რომლებიც ამ ავტორების „ნაჯღაბნს“ ბეჭდებდნენ, ხოლო მისას კი არა.

ერთხელ მენტრაპაემა მისცა მას ასაწყობად თვისური ჟურნალის მორიგ ნომრისათვის პატარა მოთხრობა, რომლის ავტორს წერტილაძე ორგანიზულად ვერ იხელებდა. წერტილაძემ გადაშალა ასაწყობ დედანის ფურცლები და მის უკანასკნელ გვერდზე შეაშინა ფანქარით წარწერილი რაღაც გამოანგარიშება:

$$352 \times 25 = 8800$$

ცხადი იყო, რომ ეს გამოანგარიშება შეადგენდა მოთხრობის სტრუქტურას.

ნახ. ალდანოვანს

ნების რიცხვს და ავტორზე ხვედრს პონორარს - ოთხმოცდა რვა მანეთს.

წერტილაძე უფულოდ შეუდგა მასალის აწყობას. მისი გონება მოთხრობის შინაარსზე იმდენათ არ ფიქრობდა, რამდენადაც თავის დაწუნებულ ნაწარმოებებზე და ოთხმოცდა რვა მანეთ გონორარზე.

ამ დროს მას ერთმა მოწოდებულმა ახრმა გაუეღვა თავში:

მოდი ერთხელ კიდევ დავრწმუნდები იმში, რამდენათ მძიმეა დამწყებისათვის მწერლობის ეკლიანი გზის გაკაფვა, - გაიფიქრა მუშაობის გათავების შემდეგ; მოთხრობის დედანი ჯიბეში ჩაიღო და წაიღო შინ. თანვე წაიღო რამოდენიმე ფურცელი სუფთა ქაღალდით.

სახლში მოსვლისთანავე ის შეუდგა მოთხრობის გადაწერას, რაც გვიან ღამით დაამთავრა.

მეორე დღეს მან გადასწყვიტა საშუაოთ არგასვლა და გადაწერილი მოთხრობის „გასაღება“ რომელიმე რედაქციაში, როგორც საკლთარი ნაწარმოების.

დილიდანვე ის შეუდგა ამ საქმეს და ჩამოიარა ყველა რედაქციები და გამოძეგმლობანი წინადადებით, რათა მათ შეეძინათ მისი ეს ახალი ნაწარმოები, მაგრამ ვერსად გაასალა.

გაბრაზებული წერტილაძე გამოვიდა უკანასკნელ რედაქციიდან, დაფლითა ხელნაწერი და საჩქაროთ გაემართა სტამბისაკენ, - რათა დღის მეორე ნახევარი მაინც არ გასცდენოდა.

მოთხრობა კი დაიბეჭდა ჟურნალში თავისი საკუთარი ავტორის სახელით.

თითქმის ყველა რედაქციებმა, რომლებშიც ის მიტანილი ჰქონდა წერტილაძეს და საიდანაც უარით იქნა გამოსტუმრიბული, მოათავსეს საქმე - სადიდებელი რეცენზიები ამ მოთხრობის შესახებ.

ამის შემდია წერტილაძეს აღარ მოუკიდა კალმისთვის ხელი, მაგრამ სიძულვილი ავტორებისა და რედაქტორების მიმართ კი ერთი - ორად გაიზარდა მასში.

ს. თ - ია.

ჩ 306 პი...

თქვენ ბიონათ მინახავს საწარმოო ანა!!!

საქართველოს
ლიტერატურის
კავშირები

„ნიანგი“ და პრესა

კალამი ბასრი! —
ბრძანება მკაცრი:

„კომუნისმამდე გასწით და გასწით!“
ვისაც ჰკლავს ბრაზი,
მოუჭით გაზი:

შეუთეთე ცეცხლი!
დაჰზუგეთ!
დაწვით!..

დაასხით ნავთი!
ასტებეთ ზავთი
ყველა ფრონტების სუყველა ნაკეთზე!

ცეცხლით წინ წევა!
არის მიღწევა:
დაჭერილი გვაქვს
გამოცდა ნავთზე
ბევრი წუწუნებს:
ტემპებს გვიწუნებს,
რომ ეჩოსავით მათ არ უთლიან...
— ეს ჩვენი ხერხი —

მტრის თავში მესი!
პროლეტარები ზიზლით უთვლიან...
და მხარით მხარში
სამხედრო მარში

გაისმის გზებზე...
მთებზე... ველებზე...
სად მძლე ტრაქტორებს,
თუ სხვა ჩირხთ ტორებს

ვუმზერ საკვირველთ საკვირველებზე...
და ვუმზერ მარტო?

არენა ფართო,
სად მძლედ აწვება ჩვენიც გონება,
რომ წინ ვაგორდეს
და ამთავორდეს!..

ჩვენი დოვლათი!..
ჩვენი ქონება!..
რაც აქვთ კულაკებს,
ჩამოუმატებს,

რომ დავიუფლოთ მიწა მთლიანად!..
ვისაც ეს პკვრის ბრაზს,
მას ჩვენ მოვდებთ გაზს
და ამოვადებთ ძირბუდიანად!..

რომ ინდუსტრიის,
ჩვენს ბედის ტრიალს,
რაც ტრიალია თვლების...
ბორბლების,

გაჰქონდეს გრვინვა,
ეს ხედვის ბრწყინვა
ჩვენ ქალაქთა,
თუ ჩვენიც სოფლების...

სად კოლექტივებს,
ამ ბედის სხივებს,
დღეს უდგათ ალო ბარაქიანი,
და ამ ბარაქას

ზედ სძენს მარაქას
ტრაქტორთ გუზუნიც, მძლე და ხშირი...
ნა...

გასწით! გარეკეთ!
ყველგან წაღეკეთ
დაბრკოლებები მთებიდან მთამო!
შრომის ლაშქარო,

ტემპებით ჩქარო,
შეუჩერებლივ — კომუნისმამდე!..
ნ. ზოგლავთელი



„გ ა უ გ მ ბ რ ღ ბ ა“

დასწყევლოს ალახმა ახლადელი რედაქციები. თუ ვინმე დიდი პროტექტორი არა გყავს, ან თვითონ რედაქტორი თუ არ არის შენი ნაცნობი, ნაცნობის ნაცნობი, ქვისლი, სიძე, მძახალი, დისწული, ნათლული, ნათლიმა-მა, ან რომელიმე მათგანის მეგობარი, არაფერს არ დაგიბეჭდავენ, თუხდა გენიოსური ნაწარმოებიც მიუტანო, ყველაფერს უსირცხოდ „გებრაკავენ“! — მითხრა ამ დღეებში ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რომელსაც თავი გენოს პოეტად მოაქვს და რომლის ნათესავებიც დარწმუნებულნი არიან მის გენიოსობაში.

— ამას წინეთ ერთი ლექსი დავწერე, მივედი რედაქციაში და წავიკითხე:

აღმოსავლეთით მზე ამოვიდა
და განათა ქვეყანა ბნელი,
ოქრობის მაღალ მთებსა და სერებს
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი.

— „კარგად“ იწყება, მაგრამ ვერ მოვითავსებთ, რადგან იდეოლოგიურად მიუღებელია! — მითხრა კატეგორიული ტონით რედაქტორმა.

— რატომ უნდა იყოს იდეოლოგიურად მიუღებელი, ვერ გამიგია! გადავიხსრიკე თვითებული სიტყვა და „ოქროს ნათელზე“ შევჩერდი. ალბად ოქროს ნათელი ან სიტყვა ოქროს მიუღებელი, მაგრამ რა საბუთით? ახლა ხომ ფულადი სახსრების დაგროვების კამპანია მიმდინარეობს და რა საბუთით უნდა ითქვას უარი ოქროს მიღებაზე?

ბედს დავმორჩილდი და ისევ ახალი ლექსი მივუტანე, რომელიც ასე იწყებოდა:

მზე ამოვიდა როგორც ნამგალი
და ცას გაეკრა როგორც ჩაქუჩი,
დედამიწაზე სხივი მოჰფინა
და გაიფანტა ღრუბელი ცაზე,

— ეს კი თქვენი საკუთარი შემოქმედებაა. წინსვლა გეტყობათ, მაგრამ მაინც ვერ მოვითავსებთ, რითმები არა აქვს! — მითხრეს რედაქციაში.

მაინც წავახალსდი და იგივე ლექსი მთელი კვირის

განმავლობაში ვამუშავე. ვეძებდი რითმებს, ვეძებდი და ვიზებებდი, რომ არ დამევიწყებოდა:

ნამგალი,
მამკალი,
ანგალი,
ფარგალი,
ბარკალი,
ჩარგალი (და სხვ.).

შემდეგ ისევ რედაქციაში წაულე და წავიკითხე:
მზე ამოვიდა, როგორც ნამგალი,
და ცას გაეკრა როგორც ჩაქუჩი,
ჩემო ლამაზო, რატომ მამკალი
შევარცხვინე შენი პოვედენია.

„პოვედენია“ რუსიციზმია და, გარდა ამისა, მაინც ვერ არის კიდევ გამართული: დაბოლოვება არ ეთანხმება: აბა სადაური რითმაა ჩაქუჩი — პოვედენია?! — მითხრა რედაქციის მდივანმა.

ისევ გავასწორე და უკანასკნელი ვარიანტი ასეთი გამოვიდა:

მზე ამოვიდა, როგორც ნამგალი,
და ცას გაეკრა როგორც ჩაქუჩი,
ჩემო ლამაზო, რატომ მამკალი
მე შენს სიყვარულს ვეღარ გადურჩი.

როგორ მოგწონს ამხანაგო, ახლა ხომ დახვეწილია! ამისთანა ლექსი ორი არ დაიწერება საქართველოში... მაგრამ მაინც არ დამიბეჭდეს... „ინდივიდუალური განცდა გამოხატული და არ გამოდგება“.

კიდევ მაქვს ახალი ლექსი, რომელიც შედეგია — ნამდვილი შედეგია, მაგრამ ვინ გითასებს?! ისიც ასე იწყება:

ტორილას მაინც არ მოვკლავ
ბევრიც რომ მქონდეს საფანტი,
თავში რითმები მიწყვი
მარგალიტებად ნაფანტი.

მინდა რედაქციაში წავიღო, მაგრამ არ დამიბეჭდავენ — პაციფიზმის ქადაგებააო, მეტყვიან ალბად პირველი სტრიქონას წაკითხვისთანავე. შევარცხვინე ამისთანა დროება!

მეღუჯა.

რ ე დ ა ქ ც ი ა უ ი

წინათ

ნახ. ქოქიაშვილის

ახლა



ლიტერატორი (რედაქტორს): — დამიბეჭდეთ... ნუ დაღუპავთ ჩემს მომავალს...

რედაქტორი: — დამიწერეთ... ჰო ნორარს წინდაწინ გამოგაწერეთ...



ნახ. დონის

გულს მოაწვება ცრემლთ ნიაღვარი
და აკვნებდება ვით მომაკვდავი;
ცრემლებს გადმოჰყრის თვალები—ღარო.
ყველა მძულს, მხოლოდ მივვარს მე თავი.

თავი, რა თავი!.. ო, თავო ჩემო,
არ გიწერია, საწყალო, ზედი.
მე აღარ ვიცი რა დავიჩემო!..
ემხს აღარ იწვის კვესით აბედი.

ბრუსიანი გუგა

გარშემო ბნელა... ჩაგვიქრეს კვარი,
არსაიდან ჩანს სინათლის შუკი.
მონად გახადეს რიონი, მტკვარი,
შურგზე დაადგეს რკინა და თუჯი.
ო, როგორ ბნელა დღეს ჩემს გარშემო!
თვალში ვერ ვიკრავ საკუთარ თითებს.
იმედო, ფრთხილად! ჩემთან არ შემო!
ვცემ პატივს ლოცვებს, ზღაპრებს და მითებს.
„ასტავკა“ მისცეს ცხენებს და ხარებს,
მოსპეს გუთანი და სახნისია.
აბა მითხარით—რა გამახარებს?
ჩვენი ცხოვრება რის მაქნისია?!

ისელი

ჩ ვ ე ნ ი კ რ ო ლ ე ტ ე

(მემორაბული ზარუები)

ამხ. ს. თ.—ია

ამხ. სანდრო ეული

ნახ. ღონის



სადეთო წიგნებში წერია:

„წყვეული სულელები, ე. ი. ურწმუნონი, რომლებიც ღმერთს წინ აღუდგენ, წინედ ისეთივე ანგელოზები იყვნენ, როგორც დღეს არიან მიქელ გაბრიელი, ქერუშიმი და სხვები“.

მაგრამ ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ანგელოზთა ერთმა ჯგუფმა ღვთის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვა.

— ძირს ღვთის აბსოლუტური თვითმპყრობელობა და ტირანია... ძირს ღმერთი! — გაიძახოდნ ისინი.

აჯანყებულები ღმერთმა დაფერთხა ციდან და მიწაზე გადმოყარა.

აი, მოკლედ ამხ. ს. თ.—ის მიწაზე მოსვლის ამბავი.

მაშასადამე, ჩვენი მცხოვანი მწერალი ანგელოზად, წმინდანად იყო გაჩენილი, მაგრამ მან ეს კარიერა არ მოისურვა.

ამბობენ (იხ. მემარჯვენე მწერლების ლოცვები), რომ ღმერთს ძალიან სწიყნს, თუ რატომ მოუვიდა „ასეთი სისულელე, რომ ს. თ.—ია მიწაზე გადმოაგდო. სჯობდა აქ ყოფილიყო დაპატიმრებული“—ო.

ამხ. ს. თ.—ია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელთაგანია.

ამავე დროს ის არის მწერლების მთავარსარდალიც.

ამხ. ს. თ.—იას ჭალარა საკმაოდ შეერია. იგი ხშირად იტყვის ხოლმე საუბარში:

— ეგზი ჯერ კიდევ არ მოგხუცდებოდი, რომ მწერალთა ფედერაციის თავმჯდომარედ არ ვიყო!

ამხ. ამხ. ს. თ.—იამ, ე. ი. სილიამ, ანუ სილვამ, იგივე სილიბისტრომ ზეციურ სამოთხეს ჩვენი პლანეტა, მიწა ამჯობინა, მიწა, სადაც კომუნისტური პარტიაა, რომლის პირველ რიგებში ამხ. ს. თ.—ია დგას, მართლაც ამჯობებს სამოთხეს, ხოლო ამ სიტყვის არარელიგიური მნიშვნელობით.

„ხანგებარი დღიური მიწა. ზედ ერთი პატარა ფაცხა, — თი მთელი ჩემი ქონება“ — სწერს ჩვენი პოეტი თავის ბიოგრაფიაში.

ასეთ პირობებში რა უნდა ექნა მამით თბოლ პატარა სანდროს.

ამბობენ, რომ ბიძაშვილმა, ნოე ზომლეთელმა (ვის შესახებ ქვემოთ) ახალგაზრდა სანდროს ურჩია:

— ძამიკო, ხომ ხედავ შენი ქონება კურდღლის ბაჭის აეკიდება ზურგზე. მიწა არა გაქვს და მეურნეობათ შენ თაჰ ვერ ირჩენ. ისევ სჭობია ჩემსავით იოლ საქმეს მოჰყიდო ხელი და დაიწყო პოეტობა, მწერლობა.

მაგრამ ახალგაზრდა სანდროს უკვე ხელა მოეკრდა ცელმისათვის და ამ ლაპარაკის დროს ჯიბეში უკვე ჰქონდა რამდენიმე ლექსი.

ახალგაზრდა პოეტი ვერ დაეთანხმა თავის ბიძაშვილს იმაში, რომ—თითქოს „მწერლობა ყველაზე უფრო იოლი საქმეა“ და იქვე ექსპრომატლ უბასუნა:

არა, ნოეჯან! მე კი მგონია:
თუ კი კალაში მადლის მქონეა
და მომავალას არის მესსია, —
იგი თვით თოხზეც უმძიმესია.

ამხ. სანდროს ნამდვილი გვარია — ქურიძე. გვარი ატყვილებლად პროლეტარული, ინდუსტრიალური, შვეიცარიის სანდროსავით მებრძოლ პოეტის.

ფსევდონიმი — ეული — ზოგიერთს არ მოსწონს.

აქვს ამ სიტყვასაც თავისი გამართლება.

საბა სულხან-ორბელიანის ლექსიკონი ანუ ეს სიტყვა განმარტებული: ეული — უუფლო, ე. ი. უღმერთო, ურწმუნო. სანდროც ხომ თავიდან ფეხებამდე და ფეხებიდან თავამდე ასეთია. (იხ. საბას ლექსიკონი, გვ. 112).

გარდა ამისა რითმისათვისაც კარგია ეს სიტყვა. მაგ.: სანდრო ეული — „გადარეული“. (იხ. მისი „გადარეული საქართველოში“, „ტარტაროზი“-ს ბიბლიოთეკა № 1).

რ უ ლ ი მ წ ე რ ლ ე ბ ი

ამხ. ნოე წამლებელი

ჩვენი ნაყოფიერი და ხვადრიელი მწერალი ნოე წამლებელი ჯერ კიდევ სულ პატარაობისას დაიბადა თავის მშობლების ოჯახში სოფ. ზომლეთში (გურია).

მამას უნდოდა შვილი მევენახე (აგრონომი) გამოსულიყო და ამიტომ დაარქვა შვილს პირველი მევენახის სახელი—ნოე. (იხ. 01-ის დაბადება ანუ ბიბლია).

მაგრამ შვილმა მამის სურვილს „მოგერიდა“ უყუ და ხელი მოჰკიდა უფრო იოლ, მაგრამ უფრო შემოსავლიან ხელობას — მწერლობას. (არც წაუგია!).

ზომლეთი უმნიშვნელო და ღარიბი სოფელი იყო მაშინ, მშობლიურ სოფლის ასეთ მდგომარეობაზე გული შესტკიოდა მომავალ მწერალს და ერთ დღით გამოღვიძებისას გადასწყვიტა:

— უნდა ვასახელო ჩემი სოფელი. და მაშინვე წამოხტა ლოკინიდან პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა (თუ კი მაშინ ეს

უკანასკნელი ეცვა), მიუხედა მაგიდას და თავის სოფელს უძღვნა შემდეგი ლექსი:

დღეს უნსმწირ მიწას ამშვენებს მხოლოდ გვიმბრი, ანწლები და ტუის იები, დადგება დრო და (არც ისე გვიან) შენ დაგამშვენებს პლანტაციები*)

და ამ ლექსს პირველად მოაწერა თავის ფსევდონიმი: **წომლეთელი**** ამიერიდან მართლაც, სოფ. ზომლეთი ბევრათვის გახდა ცნობილი.

ნოესთვის ყველაზე უფრო (რასაკვირველია, ჰონორარის შემდეგ) საყვარელია თავმჯდომარეობა ჯოხი, რომელსაც მუდამ ატარებს. (თუმცადა ჯოხზე ნაკლებ არც პორტფელი უყვარს. მასში ატარებს დამზადებულ ყოველნაირ ნაწარმოებებს მიმდინარე საქითებსა და კამპანიებს).

ჯოხის მთავარი დანიშნულება, რა თქმა უნდა საზოგადოდ ის არის, რომ სიარულის დროს ადამიანს დახმარება გაუწიოს, ან და

ძალი მოუგერიოს, მაგრამ პ. ც. ნოეს ჯოხისთვის კიდევ სხვა როლიც აქვს დაკისრებული: ჯოხით ის ზომავს თავის დაბეჭდილ მასალას და, ამგვარად, ჰონორარის გამოანგარიშებისას მას არ უხდება სტრიქონების თვლა (ეს იძლევა დროის დიდ ეკონომიას).

გარდა ამისა, იმავე ჯოხით, რომელსაც თავი მოკაუჭებულნი აქვს, ადვილად ითრევს კუთვნილ ჰონორარს ზოგიერთ ჯიუტ მოლარეებსაგან.

ამიტომ არც გასაკვირია, რომ ეს ჯოხი მას „ურჩენია სულსა, გულსა“. პ. ც. მწერალმა თავს ყოველდღე კარგად გრძნობს, რადგან ყოველდღიურად რედაქციიდან თუ გამომცემლობიდან დებულობს კუთვნილ ჰონორარს.

ხანი მიღის და სიბერის ნაცვლად უშტაინხოთ ვახალგაზრდები, და სიხარულით ახალ ცხოვრების ჩემივე „მე“-ში ვეღარ ვთავსდები. რასაც ვნატობდი, ამა, ეს არის თმაში რა გამრევს აწ მე ქალარას! ახალი ქვეყნის შენება-შექმნას ვუმღერი ლექსებს, ბუქს და ნაღარას. (იხ. მისი ჯერდაუწერელ ლექსთა მე-10-ე ტომი).

მცხოვანი მწერლის სრული კრებული გამოვა ენგურის ქალაქის ფაბრიკის დამთავრების შემდეგ, ვინაიდან ჯერჯერობით უშუძლებელია იმდენი ქალაქის შოვნა, რამდენიც დასჭირდება მის ნაწერებს.

გმუჟი.



*) უკვე გამართლდა პოეტის წინასწარმეტყველება: დღეს სოფ. ზომლეთს ამშვენებს კოლექტივების პლანტაციები.

**) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მკვლევარი დიქტობს, თითქოს, მწერლის ფსევდონიმი „ზომლეთელი“, წარმოსდგება სიტყვიდან ზომა, ვინაიდან მწერალი ჰონორარს ზომით ანგარიშობს.

მ ს ლ ა ნ ღ ე ლ ი ს ტ უ მ რ ო ბ ა

წარმოებაში წახედულობით გადავწყვიტე ოჯახში ერთმართველობის, პრომფინპლანის, ფინანსური გეგმიანობის და ტემპების შემოღება. დამკვრელობაც შემოვიღე. ყველა ამას მისაღებად ვსცნობდი, რადგან ოჯახი მრავალრიცხოვანო მყავდა და ყოველ დღე უგემგობის გამო სულ უსიამოვნებასთან და უყაირათობასთან მქონდა საქმე.

ორ დღეში პრომფინპლანი, ჯამაგირა ბალანსი და ერთმართველობა ჩამოყალიბებული მქონდა. სოცუეჯობრების, დამკვრელობის და რეჟიმ-ეკონომიის შედგენა ჩემ თანაშემწეს (ე. ი. ცოლს) მივანდე მას შემდეგ, რაც ჩემი თავი ერთმართველობის სათავეში მოვიქციე.

წელიწადი გავყავი კვარტალებათ, კვარტალები — თვეებათ, თვეები — დეკადებათ, დეკადები კი — განუწყვეტელ კვირებათ.

ერთი თქმით და დაკვრით ოჯახი სოციალისტურ რელსებზე შევაყენე. ყველაფერი ტემპებში და გემგებში ჩავაქსოვე და ყველაფერს თავისი თადარიგი მივცე. ისიც კი გამოვიანგარიშე, თუ რამდენი საინი უნდა გავვებტეხა ამა თუ იმ კვარტალში, რა დღეს რა უნდა მეჭამა, მიჩხუბა, დამკტბარიყავ, რა უნდა გავგეცვიოთა და ვისთვის

რომელ თვეში და რომელ გვარტალში თუ რა უნდა გვეყიდა.

როგორც ერთმართველობის სათავეში მყოფი და ახალი დირექტორი მეორე დღეს კისერ ადებით მივაბიჯებდი წარმოებისაკენ. ერთ კვირაში ჩემი ოჯახის საქმიანობა კარგად მიდიოდა, მეზობლებისათვის მაგალითის მაჩვენებელი ვხდებოდი.

მაგრამ სიდედრისა და სიმამრის სტუმრობამ ყველაფერი ამირია. პირველ კვარტალის ორი თვის მიღწევებს ვაჯამებდი, რომ ზემოთმოხსენებულმა მოხუცებულებმა; რომლებიც თითქმის ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნიან და უპასპორტოთ განაგრძობენ ცხოვრებას, მომიკაკუნეს ჩემ 14 მეტროვან ოთახის კარებზე.

რალა ბევრი გავაგრიელო, — მათმა სტუმრობამ გასტანა პირველ კვარტალის უკანასკნელ ვადამწყვეტ მეორე დეკადამდე. ჩემი პრომფინპლანი სრულად გადასაკეთებლად გამიხსადა ავენსათ გამოტანილმა ასმა მანეთმა. გავალ ფეჩის კარები, სადაც პირველი კვარტალის მესამე დეკადის უკანასკნელი კვირის დღისა და საათის უკანასკნელი ორი ლერი შეშა იწოდა და ჩემი პრომფინპლანი გავხვიე ცეცხლის ალში.

ს. ძნელოღლი.

აქა ავბავი სავტოთა მწერლების ფედერაციის წევრების

საისტორიო პოემა—ორ კარად შარსადნისა და მხნის

პადი პირველი

სასახლის დარბაზს შემოკრებენ
ოცნის საბჭოისანი
ზოგნი ქაბუღენი, ჩაუქნი
ზოგნიც საბოცი წლოსანი
ასხდეს დასადა პროლეტარ
უტურისტ-კანწელისანი
ქ კლემოს აკადემია,
ქ კი არიფისანი,
ოვი ჰბიღის, ზოვი ილივის,
ოვიც ლუმს—როგოც მისანი,
ჩანს დიდს ელიან მუშკულას
ჩანს დიდი უწოთა მიზანი:
—წმენდა ვარდადეს მათ რიგვან
ანილვის ბეგრი ნიზანი:
ინაც მკედარ-სოლომბს, თარსოლომბს
და შეჭი არ სწამს მისანი.
და ეს სტესი, ზეგიტად მოვიდენ
იღუბენ,—ბარგო, ისანი.

სხვა მორეე მისებრ
არ მინახავს რჯულ-დმერთი
სოქვა თო—ფედერაციის
რეაქია არ უნდ ზოის,
არცინ სცადოს შემოპარე
თავი არცინ ჭიბრიყვისი.
ჩვენ საბჭოთა კაცი ვინდა,
სხვაი ყველა ვიბოიყოს.

გა—სურდა კონსტანტინ
იფიქტებს, როგორც ფალია:
—ზურგზე წარსული მკილია,
მიჭრის „მარტენდ თაილია“.



ტიციანი—პოი ღმერთი,
„უგაზდოკოთ“ მოგვევლინა;
ჯერ, ვით სწევს—თავის თავზე
ღიფიამბი ავადვინა,
შემდეგია სოქია—მწერალთ წმენდა
ქვე ვინდა და არც ვინა—
ვინ დაიბნოს „ის“ მწერლები,
ღვთურუნჯი იყოს ვინა?
გამოიგებთხოთ, ჩვენს დად ტემბებს
ვოლბედა ვინც რომ წინა!



ჩემი მადლი და სიკეთე
აქ ძნელად მოსათვლია
და რომ ვამბობთ არ იცით
თუ რა მოხდება მამინა?
—მთლად მოგვლება მწერლობის
მეჭენიში და მამინა!
—სოქია ეს და შეჭრია დარბაზი,
ამ შიშა მეც შეგამინა.

გრიშავილიმა სოქვა:
— მე შეჭინ იოსებ არა ნაზარი,
ვარ ტურულითა მგოსანი
კოტენებით მინახაზარი.



„სოქოსი ფეხებით“ მიქია
ტანიტატანი—შეჭაზარი,
დღეს კი ვწერ მონოგრაფიებს
სოქოი მიქეს ნოლაზაზარი,
ლამაზმანებო, ამას ვთხოვთ:
საქე არა ჰქნათ საზა,
არ გამოიჩესათ მთარგმნელი,
არ დაუქარგეთ ბაზარი
და კოტის უზალთუნებით
ქავსებით გრძნობის შნაზარი.



პაოლომან—იაშვილმან
იეკელო, ითამაღანა:
უკოლს სარჩოს მოსახანად
იადონის პანგით დაღანა,
—„შოინდეთო, მემარჯვენეთ“
კრებას ასე შელოღანა,
სალონ ვაკონს პირიდებოდა
ვისაც სწევს „ვადავარდა“,
მიჭე ეს, გოშინ თვით ლანძვილია,
დღეს რა ხატეა შეუტანდა?

პანტელეიმონ ჩიკვაძის
ტემერაქტი მიქია:
ჯიოს კუმბას, საეროზოთ,
მებრძოლია და ვიქია
იტყვის: მწერლობა ვაცხროლით,
განაქვით განსაქვით,
და პროლეტარობით მწერლობის
აქ ვარდი ვთუვით, აქ ისა.



„ეპოქა“ ითხოვს ქარტხიზის,
და ვარჩევთ ამანავურად—
ფოლადის ლეგის სქედადვეთ
სოცმწმენდალბის აგურად.



— ჩვენც შემოგვხედეთ, მოწყალები ხელმ—
„ფას!“
აკაკის მემკვიდრე გახლავარ—ვარლამ რუ—
ხაძე—წერეთელი!



შრომის ვერა მქუბას გუგუნებს,
მე რითმებს ვებდ შრომის მამაში,
და პროლეტარობით მწერლობის
მეგობრებო, ტამა, ტამა!

ვით ლომი სასაბურვოდ
ისე ვამბობს წვერავა
სმობს თუ პროლეტარობა
დღეს ბრძოლის პოსტია მწერავად
ვინც მის ტემპებით არ იბრძვის,
ის შოროტალებზე ვერ ავი.
მეც აქ დამწოვი ვერა ვარ
იხე ვაგებოთ, არც ვარდენ
არცა რიკურთა მწერავად!

სვია გაიბდა, თუცა მე იქ—
ვერ ვთქვი სიტყვა ირით ორი,
ჩაწერილი კვლევი აღმოჩნდა
ათ ოთრმეტე იოატორი,
ვაფერებამ მოაწია
მიტომ ბრძოლა შეწყდა კვლად
და რაც მოხდა მთავრ დღეს,
მეც ვინდა და არც ვინა!

პადი მორავი

ობოლი, ანუ თავივე
სოლომონს ქვი სახელით,
კრებამს კალრბის: ჩემს სხილს
პატივსაც სცემდით თქვენ ძველად.



დღეს ვი რა იმერთი ვაიჭყურათ—
პოტიცი ვიყავ დიდიო,
სადა ხარ ჩემო წარსულიო,
სადა ხარ, აი ვილოო...

— წმენდაო, რის წმენდაო,
აქ არცინ ვით ვაგებლანგველიო.



ვინ არ ცდება და მწერლი
— შეილება მე შეიპოი—
წმენდა ვინდა მარამ ვისი.
კასაწმენით არ გუაფენ დღესო.

შანშავილი ხანდროი
— არ სოქოსი თავსაო.
შენ ბესო უღერეო რა მამაში
არ მომიკოლო პრასადა.



ჯერ მე ვარ, შემდეგ რუსთველი,
მესამე აბატეგელი,
თქონ რა უნოა თითაო, როცა მე
თავში მქუა მამის სქელიო.

აბაშელი სოქია კარბაძე,
მეგობრებო წმენდა ვაგვეწყმენდა,
ვაწმენითოლი (ვოლი არის,
ღამეს ჩვენთან ვერ გაათვს).



მე თუ შეეცდი, თქვენც ცდებოლით,
ქვთა ითხეთ ბაბუჩემს,
— „უღიძოს ტყვილს“ ვერ ვაუტყულ
„მზის სცილიც“ ვერ მომაჩრებს.

მანა—ობო. არ ჩიქოვანი,
მა—ობო სიმონ დიფიკს! სიტყვა—
ჩვენ გაიატარებთ აქ წმენდს
მანც დღეს აქ ჩვენ შორის ვინც რა
უნდა სოქვას.




წარსოლს რყევს ალორ ვაიციდლიო
ჩვენ წინ მიდევართ, მოგვეყვით თოა
რემ
ფეტიცავარ ბესოს, ალორ დავიციდით.

ალკა სულოვამ მიღდა პარდაბარ—
ვინც ჩემი არ ხართ, რა ვინდათ ჩვერ
თან,

ან შო, ან არა, იქით, ან აქით,
სამა ხომ მიხილ ბებიაშენთან?
ვთხოვ წაიყვანო განსახურდა,
პაველ, ვერობტი და სოლომონი,
ღანარჩებთან ჩვენ ვიციით შემდეგ—
მათთან — ვეგებრში და არა ლობით.

ბოლოს ბენიტომ იწყო ქუბილი:
— წმენდა არ არის და კიდევ არის.



ყოველ დღე არის მწერალთა წმენდა,
ჩვენ ვიციით თავში ბეგრს უჭრის ქარი
იაშვილი:

— ნეტავ რას იტყვით ვალაქტიონზე,
ბენიტო:
— იმას, რაც ბეგრეგერ მითქვამს.
იაშვილი:
— მამ მე და ის დავეციით სასწარბზე,
ბენიტო:
ვალაქტიონი დაწოლის ყველას,
(საერთო სცილი. კრება). იხურება
ღანაზაში და ვარდელდება „შანში“.

მხნი

„აქაც ბრიგადები“

ნან. ღონის

ბრიგადულ როგორები



მე ცვერიგის სანახავად
„გველის პერანგს“ გადავიცვი;
ვერობაში ვმოგზაურობ,
„ღამარათი“ „მალშტრემს“ ვვიცამ.

ფ. ლალიანი



ღამავიწყდა „გუშინდელი“ „ვარამი“
„მღვიმეც“ დავგემე, მიხდვის აღარ ვსტირი მე,
„იანხა დაღმე“, ახე ვსთქვათ „აკაქალ გულ-
ში“,
„უბედურო რუსო“, „შენი ჭირიმე“.

ფ. ნავთილშელი



მუშა - ზეინკალ - პოეტი,
ვარ გამომგონიერ მგონია;
ჩემი დამკვრელი ლექსები
ვიღას არ გაუგონია!

აღლები.

ასე იყო თუ ისე, ქარხნის დირექტორათ
მოხვდა ძველი მწარმოებელი, ძველი მექა-
რხნე და შემდეგ „გაჩვენა ცხელი“ ზღარ-
ბაძე.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ადგილობრივ
საქარხნო კვდლის გაზეთში დაიწერა გაშან-
შალებული წერილი.

„განა საბჭოთა წარმოებაში ასეთი კაცი
გამოდგება? ისიც ხელმძღვანელად? ისიც
დირექტორათ?“ — კითხულობდა ვიღაც მუშ-
კორი.

მამხილებელი პრესა საერთოდ არ უყვარს
ზღარბაძეს, მუშკორებს დასანახავადაც ვერ
იტანს და ზარა საკვირველია, რომ კვდლის
გაზეთი იმავე დღეს ჩამოახვეინა და მუშ-
კორიც სხვაგან „გადაიყვანა“.

ზღარბაძე დარწმუნებული იყო, რომ სა-
მუდამოთ მოსიენა, მაგრამ...

რაღაც სამიოდ კვირის შემდეგ ერთ-ერთ
პატარა გაზეთში დაიბეჭდა:

„ვინ არის ზღარბაძე? განა მისი მოთმენა
დასაშვებია ჩვენს საბჭოთა წარმოებაში?“

წერილს, საბუნდევროთ არავინ გამოხმა-
ურებია, თვით ზღარბაძის მეტი, რომელმაც
გამოიკვლია ავტორის ვინაობა და ისიც მოა-
იშორა თავიდან. სრულებით მოხსნა.

— მობრძანდენ და კიდევ გაბედონ რამე!
— დამუქრებით სთქვა მან. გული დაიმშვი-
და, ქარხანა მოადგილეს ჩააბარა და თითონ
ჩვეულებისამებრ მივლინებაში წავიდა საა-
გარაკოთ.

გავიდა ხანი და ერთ-ერთ ცენტრალურ
გაზეთში კვლავ დაიბეჭდა ვიღაც მუშკორის
წერილი:

„წარმოება ზარალობს, — სწერდა მესამე
აბეზარი, — გეგმები ვერ სრულდება, რადგა-
ნაც დირექტორი, ძველი მწარმოებელი, მუ-
შების ინიციატივას გასაქანს არ აძლევს“.

ამ წერილს გამოეხმაურა სათანადო ტრე-
სტი, გამოიგზავნა სათანადო რევიზორი, რომ-
ელმაც გამოიმუშავა სათანადო ღონისძიე-
ბები, მისცა დირექტორს სათანადო დავაე-
ბები და შემდეგ დასტოვა წარმოება... ძვე-
ლი დირექტორით, რადგანაც დარწმუნდა
მის უბადლო სპეციალში.

მთელი რივი თვეები გავიდა.

ამასობაში მუშკორთა მოძრაობა გაიშალა
და მასებს მოედო ზღარბაძის გულის გასა-
ხეთქად.

— ერთს და ორს ყოველთვის მოვხსნი, —
წუწუნებდა იგი, — მაგრამ რა უფო მუშკორ-
თა ბრიგადას? მთელ ჯგუფს ხომ ვერ და-
ვითხოვ წარმოებიდან? — იფშენებდა იგი
ხელებს და მართლაც:

გაზეთში გამოიქიმა — ეს ჩვენი ძველი ნაც-
ნობი:

— „ზღარბაძე ახშობს მუშათა ინიციატი-
ვას“.

ქვემოთ ჩამოთვლილი იყო დაწვრილებით
ცნობები ზღარბაძის მოღვაწეობის შესახებ.
წერილს ხელს აწერდა ბრიგადა თვრამეტი
კაცის შემადგენლობით.

— მაგათი რეიდი და თავდასხმაც გაქრეს,
— წუწუნებს გამოგდებული ზღარბაძე, — წი-
ნად მთელ ქარხანაში ერთი-ორი მუშკორი
გამოჩნდებოდა, ხელად დავითხოვდი. მო-
დი. ახლა და თვრამეტი კაცი დაითხოვე,
ისიც მუშკორობისათვის. ხომ მომხრაკეს
ცოცხლივ! ჩემი საქმე მაშინ წახდა, მუშკო-
რობაც რომ ბრიგადობით, რეიდობით და
ბუქსირებით დაიწყეს, ახლა ბუქსირი მე თა-
თონ მიკრდება.....

„ნოქარივი“

(სამტრედიისათვის)

პარასკევი იღოა.
სამტრედიისაში ხალხი ბუზივით ირე-
ვა.

როგორც ცხოვრობ?

— ნოქარივით.

გავიარე რამოდენიმე მანძილი

— როგორ ცხოვრობ?

ნოქარივით.

— როგორ ცხოვრობ?

— ნოქარივით.

— როგორ ცხოვრობ, ქალო?

— ნოქარის აოლივით. შენ?

— ნოქარის მია... რივით.

— ძალიან კარგი „ტერმინი“ შე-
მოუტლიათ! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ
და ჩაიქნია ხელი.

— როგორ ცხოვრობ? — შეეკითხა
თედორე ანდროს.

— ნოქარის მეგობარივით.

— როგორ ცხოვრობ?

— ცუდათ, ძმაო, ნოქარი არა მყავს
მეგობარი.

მთლილ დღე სიტყვები „ნოქარი-
ვით“ ყურს მიქედევნ.

პორფილე კვანტალიანს №3 მალა-
ხის გამბეს, ესმოდა ეს სიტყვები
და ბეიით კმაყოფილს დონიპაში ირ-
ნებოდა.

— სწორი თქმაა, — ადასტურებდა
იგი, — მაგალითად მე 90 მეტრი ფარ-
თალი, 100 მეტრი ბაწარით, შაქა-
რით და სხვ. მრავალი წერილმანით
მოვმარაგდი. ფართლისა და შაქრის
დანიშნულება ყიილამ იცის. შეიძ-
ლოდა იკითხონ — რად მინდა ბაწა-
რი? წელს აგარაკ ბახმაროზე მიიდი-
ვარ და რადგან იქ, სახლის სახურავი-
ზე დაჭედილი არარის, მოსალოდნე-
ლია ქარმა წაიოთ! გორც ეს მო-
ხდა შარშან. ამიტომ ბაწარს დიდი
მოთხოვნაღება ექნება ბახმაროზე.

ვლადიმერ მიქელაძე №35 მალა-
ხის ნოქარიც არხეინად ლიღინებ-
და. მის ბინაზე კი 2 ყუთი ლურ-
სმანს, 1 ყოთ ბრინჯს და 30 მეტრ
მიტკალს ტკბილად ეძინათ.

— როგორ ცხოვრობ? — მომესმა
კვლავ ხმა.

— ნოქარ კვანტალიანივით. ჩემ?


— მეკი ნოქარ მიქელაძესავეთ.

სამტრედიის „ეპო“ რომ დროზე
გაიწმინდებოდეს, ტერმინი „ნოქარი-
ვით“ უსათუოდ გადავიარდება და ამა-
რატიც გაჯანსაღდება.


„მიხლინსკი გომბ“

ჩიხუი ელმეყვდელნი

ნახ. ნადარეშიძის



— გაგონილა ასეთი ამბავი: ბრიგადობა მუშკორებმაც შემოიღეს. მთელი რაზმი ესხმის წარმოებას სადღა უნდა გაუძვრე და დავემალე? წინედ კიდევ არა უშავდა, როცა...



— ერთია, ყველგან გაუძვრები და დავემალე!

„ნიანგი“ ავსალებს თანამ-

ფერილი აცანიღან

ჩემო სანატრილო შვილო ოლიფანტე. ცოტა არ იყოს წერილის მოწერა კი დამი- გვიანდა, მარა ერთი მინდობა შვილო, შენ თან ამოცხელიყავი და ამ სიტერის დღეს მენახა დიდებული ტფილისი. მარა დასწყე- ელოს ეშმაკმა ჩვენი კომპერატიე რომ არის იქნენ ვერაფერი ვიზოვნე. ფეხშიშველი ქე მივცხვენია, შვილო, ამოსვლა.

ჩემდა და ჩემთანგვებიზა არ არის, თვა- რა ვისაც კი აქვს იმიზა ბევრია. ხშირათ მოდის ჩვენ კომპერატიზზე წულებე და ფეხ- საცელებე, მარა იმას აძლევენ, ვისაც აქვს.

გავინდე, ბიჭო, და გუშინ მოვიდა ფეხ- საცემლები, მარა ლანჩუთის ებოა თუ დე- ბოა იქიდან მოვიდა განაწილებული. ყვე- ლაზე წარწერები იყო, თუ ვის ვუთენონდა ფეხსაცმელი. თვალს გვიხვევენ, ვითამ ტფილისიდან გამოგვიგზავნეს ჩვენ სახელ- ზე. მარა მე მგონი ვერ მომატყუებეს. კო- პერატიზზე მოსვლაში ვიანწილეს ლანჩ- ხუთში. ზოგმა იქ ჩაიცვა ფეხზე და ისთე გადმოიარა აცანაში. ავი კომპერატიეს ვამს- ხარება არის, საქონელს კომპერატიე არც კი ანახეცს, ისთე ვიანწილეს. ვისაც ბევრი ჰქონდა მას მისცეს. იცოდენ ხუთ წყვილზე ნაკლები არ უნდა გქონდეს: ბატინკა, ტუ- ფლი, ჩექმა, აზიური, წულა და სკოროხლო- დი. ავინი ყველა თუ გქნება, მაშინ უსა- თუოდ მოგცემენ. ამიზა, შვილო, ასთე ნაჩქარევათ რომ გწერ: მაქ მითხოვე სა- დმე სამი წყვილი ფეხსაცმელი, ორ წყვილს მე ვითხოვ საცხა აქანე, მივიტან კომპერა- ტიზზე, ჩემია-მეთქი, და მაშინ, თუ კი და- ვაჯერე, უსათუოდ მომცემენ. აბა ასთე სულ ვეღრიჯები ყველას, მარა ვინ გამო- გონა.

ამდგერ საქმეებს რომ თვალდანახულით შევრებიან, სხვას რაზე დავგაყრიან ხეირს: ბრინჯასაც ივინი წაიღებს და შაქარსაც, ფა- რთალსაც, ძაფსაც და საბონსაც.

იცადე, თუ ბიჭი ხარ, მიშოვე რაცნაფე- რაი რომ შეგებვწე, მარა სულ ახლები კი იყოს, თვარა ცოტა ნახარკი თუ გამოდგა, არ მიიღებენ მხედველობაში და კიდევ უფესაცმელით დაფრები.

„ცხრაშეხა“


ეპოს გოდება ლანჩხუთი.

ბაბილონის გოდოლია, არ შენდება, არა. ერთი შლის და გეგმას წუნობს, იხარჯება ფარა. სახურავსო ვერ გაუძლებს, — ამბობს ინჯენერი, — კრამიტი რომ დაიწყობა დაინჯრევა ჰერო! ერთი აგებს მეორე შლის რა ვქნა, დავიბენი, ჰე, ნიანგო, მოგვეშველე, ეს სიკეთე ჰქენი.

„ტუჯი“

პირდაპირი გზებით

ნახ. კალანდაის (ლანჩხუთი).



— კაცო, აქ კომპერატივის სავაჭრო ხომ არ არის, რომ თავი მოვიყრიათ? — ამბობენ, გამგე უშუალოთ აქედან არი- გებს საქონელსო!

სრუ დაგვირგული

მართლა საქები საქმე როდია — ოფლით და მურით სახეს დებადენ. რეკონსტრუქციის პერიოდილია ლიტრი-კვარტიდან გათენებადენ. კვარტი და კარტი, შეხლა-შემოხლა, ვაუკაცობა და საქმე აქ არი. ოაა დედლობა, რას გარგებს ოხერა! ვინც გააბრაზოს, დისცხე, დაჰკარი. რასაც მოასწრებ, შესესამ, — შენია, რასაც არა და — დაიკარგება. კაცს ვაქეთება რისაც გშვენია, ვაუკაცობაც იქ გამოგადგება. მაგრამ ალარც ღირს სიტყვა ამაზე, ისა სჯობია დავეყურტო ღვინო და „ბედნი გეოს“ ჯაგლაგ არღანზე „ჯან ტიკო ტიკო“ დავალინო. **საბანა.**

სალათას ძილით

ნახ. მ. გოგიას, (ახ.-სანაქი)



— არიქა, ბიჭო, გააღვიძე სახანძრო რა- ზში, თორემ დაიწვა ყველაფერი! — რა ვქნა, კაცო, ვუკრამ ზარებს რაც ძალი და ღონე მაქვს, მაგრამ არ იქნა მათი გად- გიძება!

ყველას! ყველას!!

ესლა მივიღეთ ფრიად წარმტაცი, და მომზიბოავი ფილმი „კვალ და კვალ“, ესწრაფეთ ნახოთ ყველასა გირჩევთ, ეკრანზე რჩება მხოლოდ დღეს და ხვალ.

ხელს არა გვიწყობს ჩვენი დარბაზი, ადგილები გვაქვს საგრანობლოდ ცოტა, ამიტომ უშვებთ დღისით სენსებს, თუ ელ-სადგურმა არ გვიღალატა!

ვაცხადებთ ყველას საყურადღებოდ: ნუმერაცია გაუქმდა რიგის, კარგ ადგილზედა ის მოთავსდება, ვინც ადრე მოვა, ბილეთს იყიდის!

პირველ სენსა ვიწყებთ 6 საათს, მეორესა კი სრულ 7 საათზე, თუ განათებამ ხელი შეგვიწყო, მე-3-ს — 8-ზე, მე-4-ს — 9-ზე.

ჟინო „მთიარი“

ასეთია ზესტაფონის კონო-თეატრის რეკ- ლამები. პატრონი კი არავინ არის, რომ ამას ყურადღება მიაქციოს.

კახუნიძე.

ძირულისათვის

ვასილ ლადარა:

ვიყავ ვაჭარი წინდო, გამოქეტილი ძიელი! აქ ყველამ იტის კარგად ჩემი წარსული ბნელი. გლენს ტყავს ვაძრობდი ზურგზე, მუშას ვუტირე დედა, აღეს კი გამგეთ ვარ კლუბის ასე მარგუნა ბეღმა.

პეტრე ხაუალია:

ერთ წუთს ვეღარ ვტლებ უღვიწოდ, ამიტყდა გულის ფრიალი! დამისხით, დამალევენით, ყანწით ეგ ოხერ-ტიალი.

ვალოდია ბანცაძე:

გაზეთების ფულებით ვჭამე მოხრაკულები. საყვედური ამაზე ჯერ არ უთქვამთ სრულებით. ძირულოღო თაღა

გორი

გადაშლილია მწვანით ბაზრის ადგილი ვრცელი, და ყველგან იყიდება: „ნუნუა საყვარელი“. მწვანეზე ღვინის სმა და დღეობა იმართება; ზოგი ხტუნაობს, ცეკვავს, ზოგიც კი — მაგრა თერება, გინება, ჩხუბი, მტკრივა და ღრიან(ველი) ისმის, ზოგი ქვებსა და კეტებს, ზოგიც ფიშტოებს ისერის. და ვფიქრობ — გორის საბჭომ ნუ თუ ეს აღარ იცის.

არმო

შრომელის მომავალ კალს

„მექანიკი“ ზინა

ნამდვილი ამბავი

სოფ. უფლისციხის გლეხობა სიხარულით შეხვდა მამალა მოლაპარაკე რადიოს დადგმას.

— უი, ქაა. მოდი და ამის შემდეგ იწამე ღმერთი! რას იფიქრებდა კაცი, თუ ჩვენ სოფელში რადიო გვექნებოდა? — უკვირდათ „ღმერთის მოყვარულ“ დედაკაცებს.

— რადიო გამართულია, მაგრამ ვინ ამუშავებს? — თქვა თბილისიდან ჩამოსულმა მექანიკმა, რომელმაც რადიო მოაწყო.

— აქნა არ ვარ! რადიოს გამუშავებ კი არა, ახალსაც ვაფაქეთებ. — გაასალა რადიო-მექანიკათ თავი ზინაიდა ყურაშვილმა.

ჩააბარეს რადიო მექანიკს.

— შაქრა, ჰაი შაქრა, წამო თავრობას ყური ვუვლოთ რადიოში.

— შენზე წინ მე წავედი, მაგრამ ზინა სამკითხველოს კარს არ ალებს, ეს თავი მტკიავო, ეს უქეიფოთა ვარო, ეს ქალაქს მივიღვარო და რავიცი კიდე რას არ მოიგონებს ხოლმე.

ერთხელ ზინამ დაუწყო რადიოს წვალება, ცოტა აწვალა თუ ბევრი, რადიოს ენა ჩააგდებინა (გადასწვა).
დღესაც დამუნჯებულია უფლისციხის რადიო.

კალმოსანი.

ჩაფიქრებული იჯდა გოქაძე თავის კაბინეტში.
— კარები ირგვლივ ჩაკეტეთ, გაისმა მრისხანე ხმა და თანამშრომლები მწკირავში ჩადგნენ.

— გოქაძე, ვილაც ინვალიდი გთხოვთ. — მიმართა შიკრიკმა თავ-დანხრილი და მორიდების კილდით.

— უთხარი, ხვალ მოვიდეს.

— ბრიგადა გთხოვს.

— კარები ჩაკეტეთ! — იყო პასუხი.

შინით კი პატარა ჭრელ მაგიდასთან განმაგებით იჯდა გოქაძე და ხელზე ითვლებდა — დღეს ვის და რამედნი უწამაწური სიტყვებით „ისწავლა“ ჭკუა.

— მეუბნებიან: წლიანი გეგმა რად ვერ შეადგინეო. ჩვენი გეგმა ჩემი თავია! — და გოქაძემ არხეინად დაიკრა თავზე ხელი.

ენახოთ სინამდევას და ულაგებელი გეგმები გოქაძის თავში, ალბად გამწმენდი კომისია გასწმენდს უხერიო გეგმას გოქაძის თავიდან.

ენლა კი—სმენა!
კამათს გახსნილად ვაცხადებ.

სიტყვა ეძლევა რკინის გზის მუშების საქონლის სადგურის გამომრკვევ ბრიგადის თავმჯდომარეს ამხ. ი. ცინცაძეს.

შირიში.

„მოხსნილი“

რა იქნებოდა, გორის სატყეო მეურნეობა რომ არ გაჩენილიყო? ამ ფაქტს ბევრი რამ უსამართლოდ მოყვებოდა: ფარველეს ყოვლისა, ფრიად ნაწყენი დარჩებოდა ორი კაცი: გორის სატყეოს გამგე იოსელიანი და ნახშირე, მისი მოადგილე.

საქმე ის არის, რომ თუ სატყეო არ იქნებოდა, იოსელიანს იქ ვეღარ დანიშნავდნენ გამგეთ და მამასადაძე, იგი ვერც სატყეოს მუშეთს (თესლისა და ჰერბარიუმის განყოფილებებს) ვადაიკეთებდა ზინათ: ამას ვარდა, იგი ვეღარ დაისაკუთრებდა სატყეოს ბედაურს, რომელზედაც შეჯდომის უფლებას არავის აძლევს „სიარულის წახლდომი, თავიდან აცილებს მიზნით“, (ასე იტყვება მისი მოადგილეთ).

მაგრამ ტყენით ჯირით ვარდა, იოსელიანს სხვაც ბევრი აქვს საქმე: 1930 წლის აპრილიდან დღემდე მან სამოციოდე კაცი ტაითხოვა სამუშაოდან. თქვენ მარტო სა მოცი ბრძანების დაწერა და ხელის მოწერა იკითხვით!...

მიუხედავად ასეთი დატვირთვისა, იოსელიანს კიდევ სამუშაო დაუმატეს და შეშის დამზადება დააბალეს. ეს საქმე სრულიებით იოლათ ვადაწყდა. გამგის ბრძანებით და მოადგილის დასტურით, ტყე იჩენებოდა უახლოეს აგარაკში, და მოკრილი, ხე-ტყე წიგნში ტარდებოდა, როგორც ძირ-ნაყარა, უფარავლი ტყე.

არც მწვადი იწვის, არც შამდური, მხოლოდ სახელმწიფო ტყე ნადგურდება!

მაგრამ ვინ დაგაცლის მოღვაწეობის გამოსა, მუშაობის ვარაზებებს? ალბათ იმას შიშით, რომ მუშაობის ასეთ ვალრამებებს მისი ძირის გაგდება მოყვებოდა, იოსელიანი მოხსნეს: ვერ გორის საოლქო მუშაღვაწიმა—პარტკომის დასტურით, მერე საქმე სატყეო სამმართველოს საბჭომ სპეციალიზატა რესპ. ბიუროს კვირის დაკვრით.

მოხსნეს გამგე, მართლა მოხსნეს. არის ახლოები, ქალაღდები, დადგინიღრბები.

ასე, რომ მოხსნილია, ოღონდ...
ოღონდ საქმე ისაა, რომ ოსელიანი ისეც იქ, გორის სატყეოში მსახუროებს გამგეთ, იმავე ყოფ. მუშეთში ცხოვრობს და რაღა თქმა უნდა, იმავე ოორღას ავღლებს ქართლის ვეღებზე.
რა უჭირს ასეთ იოსელიანს!

ამრი არაბი.



დაასწრო



ნახ. გ. ისავეი, (ტფილისი).

— ვერ წმენდა არ დაწყებულა და რან შეგაშინა, რომ სამსახურს თავს ანებებ?!
— სულერთია, მაინც გამწმენდნ და სჯობს ასე მოვიქცე, რომ წმენდაში არ ვაგტარდე.

ქასპის

სადგურის მოღარე

კასპის სადგურის მოღარემ მუსხელიშვილმა მარაზან, მუღამ ფულეში მწოლარემ, ფულეში შეიყვარა მან.

სალაროს ხალხი აწყდება რიგი არის გრძელი, ვარას სიხარულისაგან ცას უწყდება ხელი.

დიქრობს,—დღეს შემოსავალი მექნება მე დიდი, (დაბალ ფასიან ბილეთებს, მალალ ფასში ჰყიდის).

უწვდი ფულს და იღებ ბილეთს, არ გიბრუნებს ხურდას, (იგი შრომობს, ამ შრომისთვის „სვერსურონიც“ უნდა).

აზნაური გახლავთ ძველი, კარგ ყოფას ჩვეული, არ გაიკცხოთ თუ კი ვარას უყვარს ფული, ფული!

ოთხ აბაზიან ბილეთში მანეთს იღებს ისა, და ამ გვარი თაღლითობით გაისქელა ქისა.

20 კაპიკს პეტრეს დააძრობს, 40 კაპიკს—პავლეს, მგზავრებიც აწვევენ ხურდას ჭკუა ვერ ისწავლეს.

ასეთ „კაპიკ-კაპიკობით“ კარგი დახლი დგება, ფიქრობს „ამას ვინ ვამიგებს“, „იშკალს“ ვინ მიხვდება?!

ლონ-კიხიძე.



ნიანბის ბასაირნება

უკუღმართი „წინსვლა“

ღვინის საწყობიდან (ბესიკის ქუჩაზე) ვილაც მთვრალი. ამოდოდა. ხელში სავსე ლიტრა ეჭირა. ფეხები არ ემორჩილებოდნენ, თითქოს მისი კუთვნილება არ იყოსო. ტეხილ, ზიგზაგი ხაზით მობარბაცებდა.

დავეწიე.
ვიცანი—ეს ჩვენი მეზობელი მიხო იყო.

—სად ყოფილხარ, მიხო?

—სად ვიყავ და...—დააპირა თქმა, მაგრამ ბოძს დაეჯახა და გაბრაზდა: —პატიოსან კაცს ქუჩაში აღარ გაეცლება; ყველგან ელექტრონისა და ტელეფონის ბოძებია!

გამვლლები იცინოდნენ და მიხოს უცქერდნენ.

მიხო კი ბუტბუტებდა:

14



—საკვირველია! „წინსვლა“ დავლიე და უკან მივდივარ!

მართლაც ამ დროს მიხო, თითქოს ვილაც უჩინარი უკან ექიჩავებო, ზურგისკენ წავეიდა და პირაღმა წაიქცა—

გატეხილ თავიდან სისხლი წამოვიდა, ხოლო ასეთივე ბოთლიდან—ღვინო დაიღვარა.

ნავთის „კრიზისი“

შეჭადარებული, სათვალეობიანი კაცი „ნავთის რიგის“ მეორე მხარეს იდგა და რალაკას ხატავდა თანაც ხშირად რიგისკენ იცქირებოდა:—

—უკაცრავად... თქვენ ვინ ბრძანდებით?

—მე კოლექციონერი ვარ, ძველი მეცნიერი...

— აქ რას აკეთებთ?

— ქურჭლებს. რომლებიც ნავთის წასადებად მოუტანიათ, ვხატავ. აქ არის ყოველგვარი ქურჭელი, რომელიც კი ოდესმე კაცობრიობას შეუქნია. აი, ეგერ რომ მოხუცი დგას, შეხედეთ მის ქურჭელს. ის ქურჭელი მე მგონია პრეისტორიული ქურჭელია; ალბად მაშინ ადამ დევეც არ იყვნენ გაჩენილი... იმ კაცს ხომ ხედავთ, ტიკი მოუტანია ნავთის ჩასახსნელად... ერთი სიტყვით აქ ყოველგვარი ქურჭელია. საჭიროა მათი დახატვა, რომ კულტურას არ დაეკარგოს არც ერთი მათგანი.

— როგორ ასწრ სო დახატვას?

— სულ ადვილად. ესენი ყოველდღე აქ არიან. მაგათ ვერ გააძლებ ნავთით. აი, ეგერ რომ ქალია, გუშინ მან ორ ფუთამდე მიიღო ნავთი, მაგრამ დღესაც მოსოლა. გუშინ მიიღო ლახანკის ხატვა დავიწყე; ვერ დავასრულე, რადგან რიგი ხვდა, ნავთი აიღო და სახლში წავიდა. დღეს ისევ მოვიდა, ისევ ის ლახანკა მოიტანა და პა, ეს არის, ეხლა ვამთავრებ.



— მოვკდი ქალი ნეტავი როდის გათავდება ეს ნავთის კრიზისი! — ჩაილაპარაკა ქალმა, რომელსაც ნავთი მიჰქონდა ვედრათი და ვეებერთელა დოქით.

— შეილი და ქმარი არა გყავს, რომ იმათ წაიღონ? — შეეკითხა ვილაც.

— ისინიც აქ არიან და ნავთს ღებულობენ.

— სამაგიეროდ დიდხანს აღარ შეწუხდებით, ნავთი სახლში გექნებათ.

— არ შეეწუხდები კი არა, ყოველდღე ასე გამწარებული ვართ მთე-

ლი ოჯახი, ყოველდღე გვინდება ამდენი ნავთის აღება.

— მერე რას უშვრებით ამდენ ნავთს?

— კრიზისია და აბა რავენათ!

— მე კი ერთი კვირაა ჩიი ვერ ამიღულებია, ნავთი ვერ მიშოვნია, რადგან სამსახურის კაცი ვარ და მთელი დღე არ შემიძლია რიგში დგომა! — ისაყვედურა ვილაცამ.

— ასეთია ჩვენი მუშაკობი! — დაუმატა მეორემ. — ნავთი უამრავია, ვხანწილება ვერ მოუხერხებია და თვითონ ქმნის ხელოვნურად ასეთ „კრიზისსა“ და პანიკას.

ვიკამხმარის პრობლემა

სალამოს, როცა ფურნეები დაიკეტა, ვირთხებმა თავი მოიყარეს №№ 407 და 141 ფურნეში და თათბირი გამართეს.

თათბირს დეასწორენ ყველა უბნის წარმომადგენელი ვირთხები. თათბირზე იყენენ აგრეთვე თავგები და ტარაკანებიც სათათბირო ხმით.

შომხსენებელმა ვირთხამ აღნიშნა:



ძიებო და მეგობრებო, აი, ხედავ პურში ჩვენს მოძმეებს? ხედავთ რას გვიპოიებს ჩვენ მუშაკობა? იმას, რომ ჩვენივე ძმების ხორცი ჩვენ გვაჭამოს. ეს რომ სხვა გზით ვერ შეძლო, აიღო და ჩვენს ძმებს პურში აცხობს. მაგრამ, ჯამაათნო, ჩვენ ამიერიდან არ უნდა ვსჭამოთ მუშაკობის. გამომცხვარი პური, რომელშიაც ჩვენი მოძმეთა სისხლი და ხორცია.

— მართალია, მართალი. არ ვსჭამოთ მუშაკობის პური. ძალღია რომ ძალღია, ისიც კი არ გასტებს თურმე ძალღის ძვალს და ჩვენ ხომ ძალღზე უკეთესი ვართ. ჩვენ რატომ უნდა ვსჭამოთ ჩვენი მოძმის ხორცი! — იგოილა მთელმა თათბირმა.

ვირთხების დაღვინილებას მიემხრენ თავგებიც, ტარაკანებიც და სხვა კია-ლუა მწერები.

გადასწყვიტეს — პროტესტი გაუგზავნონ მუშაკობას.

ოპორტუნისტული პოეზია

• მიზნის მიმადრენს ჩემი მუხა, როგორც მერანი, უკან მომხნავის თვალბედითი შავი ყორანი, აჩუ, ყორანო! შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!

გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გადაიარე კლდენი და ღრენი, და შემომოკლე ოპორტუნისტის ნაცად გზისაკენ სავალნი ღღენი. დე, შევეფაროთ, ჩემო მფრინავო, გაბრწნილ კაპიტალს, მის ხარახურებს, შორს განიბერტყე ჰანგები ბრძოლის, არ მოასმინო შენს მხედრის ყურებს. რაა, მოეშორდე მუშათა კლასსა, ველუბთლო სწორობა და მეგობარსა, ზიზით და ფურთხით მხვდებოდეს ხალხი ჯალათების და მძარცველთ მკობარსა, სად დაშილამდეს, იქ გაბითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა, სამშობლო, მხოლოდ კულაკთა და შემთანხმელთა ვიცნო გულისა მე საიმედო!

ვუცქირო შიშით დამონებულ მასების ბრძოლას და ბედის ცაზე კომუნისტის აჩრდილის სრბოლას. ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულსკვეთება და ჩემი სულის მეღანქოლია ყოფილი ხალხის ჰიმნად დარჩება, რომ კულაკობას ჰანგებით ჩემით განკულაკება გაუადვილდეს, როს შეუპოვრად სოციალიზმის მას წინ ლოზუნგი წამოუტყროლდეს.

მიზნის, მიმადრენს ჩემი მუხა, როგორც მერანი, უკან მომხნავის თვალბედითი შავი ყორანი. აჩუ ყორანო! შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი, და მე ტემპები გოგო, მიგმირავს, როგორც ლახვარი. სიპიტო.

ნახ. ქოქიაშვილის



მ რ ი — ც ხ ი ნ შ ა

კიბოთე მივლინებაზე ცხინვალში გზავრებოდა სამსახურის საქმეების გააო. — ბიჭო, გლიქერიაანთ ვინას არ იცნობ? — მოგსმა მივლინებადეს მატარებლის ვაგონში მეორე ვაგონივლივებიდან. — აე დალოცვალო, როგორც არ ვიცნობ, ნათესავი კაცია—მამიდა ჩემის ნათლულს ბიძაშვილია. — ჰო და, ის უნდა მეტყვა—რა მსუქან ლუქმასა ჯამს ის ქირტი ძაღლი ისა. ქვილის მერტს ალაოას აკეთებს რა ი ოხერი, ისა! — აბა შენ ეგა თქვი. რაღაც ეშვაკობის წყალობით ერთი დაგლეჯილი ეტლი და ორი მკვდარი ცხენი შეიძინა და დაიწყო გორსა და ცხინვალს შუა მუშაობა. მე შენ გითხრა ადგილობრივი „სოფელტრანსი“ გაუკეთებს „კუჭურენციასა“. როგორც მოგებლისება, ისე ყვლდეს ხალხსა.

— გარი... გარი!—გაისმა კონდუქტორის ძახილი. მივლინებაზე გადმოვიდა მატარებლიდან. დიდ ქუჩაზე მან შენიშნა ტალახში გასვრილი, ვარანცოვის დროის ავტობანქანა. მიადგა „ავტოდორ“—ის კანტორას. ფარაჯაში გახვეული მოხუცი ხელის კანკალით აწარმოებდა რაღაც „ორმაგ ბუღალტერიის“ მსგავს ოპერაციებს. — უკაცრავად, ამხანაგო, ეს მანქანა მაღე წავა ცხინვალში?—ჰკითხა მივლინებამ მხოხუცს. პასუხის მაგიერ, უკანასკნელი წამოდგა, გავიდა გარეთ და გასძახა: — ბიჭო, ის წყუელი შოფერია, თუ რა ეშვაკი, ჯერ კიდევ არ „მობრძანდა“?

— მოისმა შორიდან. ძალითი კვლავ მიუჯდა მაგიდას და განაგრძო „მუშაობა“ მგზავრთა რიცხვმა იმატა. — კაცო, რატომ შეკითხვაზე პასუხს არ მასძლევ?—ხელმეორედ შეეკითხა მივლინებამ. — რა ექნა, რა საქმე გააქირე. რა გინდა ჩემგან! გეტყობა პირველად მივგზავრები ცხინვალში. ხომ ხედავ ამ ხალხს? ესენი მეორე დღეა ელოდებიან ავტომობილს და შენ ერთი საათიც არ გინდა დაიკადო. ჯიდა ავტომობილის გაგზავნა უშოფეროდ შეიძლება განა?!

— მოქალაქე,—იფეთქა მივლინებამ,— მე ხუმრობისათვის არა მცალია. მე ოფიციალურად გეკითხები:—როდის წავა ცხინვალში ან ავტო და ან სხვა რაიმე ჯანდაბა. — ვა! ეს ვინ ყოფილა! — აოილდა მოხუცი,—კაცო ქართულად გელაპარაკებიან, რომ შოფერი აქ არ არის, გუშინ წინ წავიდო, ის ოხერი ქალაქში და დღესაც არ დაბრუნებულა. ახლა მე რა უნდა ექნა! მე ხომ არ წავიყვან ამ ხალხს! — განა ერთი ავტომობილის მეტი ალარაფერი მუშაობს?—არ ოხენებდა მივლინებამ. — როგორ არა, მაგრამ დანარჩენები ცხინვალში არიან. — მაშ, როგორც ეტყობა, დღეს გორში დავრჩები. — ეტყობა კი არა, ნამდვილად დარჩები იმითმ, რომ ჯერ გუშინდელი „პასაჟერი“ უნდა გაიგზავნოს და შემდეგ შენა. დაახლოვებით ორი საათის შემდეგ მოხუცმა გაგზავნა ეტლით ოთხი მგზავრი.

— ეცო სასულიერო არა იყო რა და მივლინებადეც ჩაეწერა „სახელით პასაჟერების“ სიაში და გავიდა გარედ. — მოქალაქე, ცხინვალში წასვლას ხომ არ აპირებთ?—მოულოდნელად მოგსმა მივლინებამ. — ღიბ, ფიქრობ! — ზერ ეტლი. თუ გნებავთ, მობრძანდით, 3-4 საათში იქ ვიქნებით!—შესთავაზა მივლინებამ ჩასუქებულმა უცნობმა. — დიდი სიამოვნებით.—გაუნარდა კიბოთეს, მაგრამ რა ეღიერება ადგილი! — ბევრს არ გამოგართმევთ, სულ 25მანეთი ვსირებთა. — რას ლაპარაკობ, კაცო! ზერ კანტორაში 8-10 მანეთი ღირს და შენ კი 25 მანეთს მოხვებ?! — ნაკლებ მე არ წავიყვანთ!—სოქვა მეეტლემ და გაბრუნდა უკან. — სწორედ ეს იქნება გლიქერიაანთ ბიჭო. — გაიფიქრა მივლინებამ და დაედევნა მეეტლეს. როგორც იყო, დიდი ხვეწნით, მივლინებამ მოულოდნელად მეეტლეს 20 მანეთად. რამდენიმე საათის შემდეგ მივლინებამ და კიდევ სხვა ხუთი მგზავრი გაუღდგნა. — 6 კაცია. თითომ 20 მანეთი გადაიხადა... 120 მანეთი!—ფიქრობდა გზაში მივლინებამ. — დღესვე დაბრუნდება უკან ჩენი მეეტლე?—შეეკითხა იგი თანამგზავრს. — როგორ არა, ერთჯერ კიდევ მოასწრებს დღეს სხვებისთვის ტყავის გაძრობას. განა ასეთი მცირე შემოსავლით დაკმაყოფილება გლიქერიაანთ წოლია? — ალ. მესხეთელი.



ს. ს. ს. რ. 35
 მთავრობის განათლების
 კომისიისათვის
 სსსრკ-ის
საგარეო ურთიერთობების
 განყოფილება
 10.11.19
 № 196
 J. Nardaz

მუშაკორი:—ეს რა კარგი ყოფილა, კალ მით დავსტერი და კალშიცვე სანაგვეში ვერის